



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

**დამტკიცებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2012 წლის 6 ივლისის  
 # 733 დადგენილებით

**მოდულირებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2017 წლის 21 აპრილის  
 #2393 დადგენილებით

**ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა**

**პროგრამის სახელწოდება**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
Georgian Language for Foreigners

**ფაკულტეტი**

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of engineering economics, media technology and social sciences

**პროგრამის ხელმძღვანელი**

პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი
------------------------------

**პროგრამის ანალოგი**

საქართველოში ქართულის, როგორც მეორე ენის, ცოდნის დონეების სტანდარტები ჯერაც არ არსებობს, არ არის დამკვიდრებული ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდოლოგია. ვითარების შემამსუბუქებელ გარემოებას, ამ თვალსაზრისით, წარმოადგენს ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია და პრონციპები საქართველოს არაქართულ საჯარო სკოლებში, რომლის გამოცდილებაც კონცეპტუალურობის დონეზე გამოყენებულია წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამაში. ამასთან, პროგრამის ანალოგია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული, როგორც მეორე ენა არაქართულენოვანი აბიტურიენტებისათვის“ (პროგრამის ხელმძღვანელი კ. გაბუნია), პროგრამის სტრუქტურისა და სწავლების მეთოდოლოგიის ანალოგად შეიძლება განხილულ იქნას საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა.
--

**პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

ცნობილია, რომ საქართველოში არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულთათვის 2009 წლიდან დადგენილია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ენის შესწავლის წესი: ისინი ეროვნული გამოცდების სისტემით აბარებენ გამოცდას ზოგად უნარებში, ხოლო შემდეგ მათთვის გამოყოფილი კვოტების შესაბამისად უმაღლეს სასწავლებელში შეისწავლიან ქართულს, როგორც მეორე ენას, 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამით.
---

აღნიშნულიდან გამომდინარე, "ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა" განკუთვნილია იმ არაქართულენოვანი აბიტურიენტებისათვის, რომლებიც ზოგად უნარებში გამოცდის წარმატებით ჩაბარების საფუძველზე ჩაირიცხნენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების 60 კრედიტს. ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტები შეიძენენ შემდეგ ცოდნასა და კომპეტენციებს:

- ექნებათ ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციების ქართულ ენაზე მოსმენის, გააზრების, გაცნობიერებისა და მიზნობრივი კომუნიკაციების დამყარებისათვის საკმარისი ცოდნა;
- შეეძლებათ ზეპირი და წერილობითი ტექსტების სტრუქტურის განსაზღვრა: შინაარსის გაცნობიერება, ენობრივი მახასიათებლების რაობასა და სპეციფიკაში გარკვევა; ტექსტის აღქმა-გააზრებისათვის ადეკვატური სტრატეგიის შერჩევა და ა.შ.;
- ექნება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციების დამყარების უნარი როგორც ინტერპერსონალურ, ისე პროფესიულ აუდიტორიასა და სოციალური ჯგუფების დონეზე, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეეძლება მიზნობრივი საქმიანი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარება, რაც თავისი არსით ტრანსფერულია და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უნივერსიტეტში პროფესიული ცოდნის ქართულ ენაზე შექმნის წარმატებულობას;
- გააზრებული ექნებათ ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, ზეპირი მეტყველებისა და წერილი მეტყველების ფორმების სპეციფიკა, ეცოდინებათ ქართული თანხმოვანი ბგერების საწარმოთქმო თავისებურებები;
- გამოიმუშავენ მოსმენისა და ლაპარაკის ელემენტარულ უნარებს; ანუ შეძლებენ მოსმენილ წინადადებაში სიტყვების გამოყოფას, მასწავლებლის მიერ წარმოთქმული სიტყვების ფრაზების გამეორებას;
- შეძლებენ საკუთარი თავის წარდგენას აუდიტორიისათვის, კუთვნილებითობის გამომხატველი ფორმების ადეკვატურად გამოხატვას სულიერი-უსულოს კატეგორიების შესაბამისად (მყავს - მაქვს);
- შეძლებენ სოციალური და პროფესიული კომუნიკაციის დამყარებას ნაცნობი გამოთქმებითა და ფრაზეოლოგიით: კითხვების დასმას და პასუხის გაცემას დასმულ შეკითხვაზე;
- გამოიმუშავენ (წა)კითხვისათვის აუცილებელ უნარებს;
- შეძლებენ საკუთარი პოზიციის გამოხატვას ფაქტისა თუ მოვლენის მიმართ; ადეკვატური ინტონაციის მისადაგებას სხვადასხვა მოდულობის (კითხვა, ძახილი, ბრძანება) გამონათქვამში;
- გაითავისებენ მცირე მოცულობის, აღწერითი და თხრობითი ტიპის ტექსტების აგების პრინციპებს, შინაარსის გაგებისათვის აუცილებელი სტრატეგიების გამოყოფის ხერხებს; შეთავაზებულ თემაზე ტექსტის შექმნას.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

კრედიტი - 60

**სწავლების ენა**

ქართული

**პროგრამის მიზანი**

- "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის II მუხლის 335 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია

ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ჩაბარების საფუძველზე ჩარიცხული აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება "ენების სწავლების ევროპული კრიტერიუმების" 1996 წლის კონვენციით გათვალისწინებული B1+ დონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა მიერ შემუშავებული ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების B1+ დონის სტანდარტების მიხედვით თავიანთი არჩევანის შესაბამისად სწავლის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის საფეხურზე გაგრძელებისათვის;

- ლინგვოქვეყანათმცოდნეობის ქართული ენის სწავლებით ქართულ კულტურასა და ენობრივ ცნობიერებაზე წარმოდგენის შექმნა და პატივისცემა; ქართულის, როგორც მეორე ენის, მეტი საფუძვლიანობით შესასწავლად, პრინციპით - კულტურა ენით და ენა კულტურით.
- სიტუაციური კომუნიკაციების გაცნობიერებისა და მარტივი ვერბალური კომუნიკაციების დამყარებისათვის საჭირო ენობრივი კომპეტენტურობის უზრუნველყოფა;
- ქართული ენის სხვადასხვა საკითხთა ერთმანეთთან დაკავშირების, ზეპირისა და წერილობით ტექსტებში ორიენტირების უნარის შექმნა;
- ყოველდღიური და საქმიანი ურთიერთობებისათვის საჭირო ენობრივი ცნობიერებისა და კომპეტენციის საფუძვლების უზრუნველყოფა;
- ქართული ენის ცოდნის გაღრმავება დამოუკიდებლად; ზემოაღნიშნულის საფუძველზე ევრო-ატლანტიკური სივრცის საგანმანათლებლო სისტემით განსაზღვრული ენობრივი კომპეტენციების უზრუნველყოფა, კერძოდ:
- გათავისებული ლექსიკის საფუძველზე ქართული ენის გრამატიკის (მორფოლოგია, სინტაქსი) წესებით მიზნობრივი გამოთქმების (ფრაზების) აგება (ლინგვისტური კომპეტენცია);
- კონტექსტის შესაბამისად ენობრივი ფორმების შერჩევა და ვერბალური კომუნიკაციების დამყარება (სოციოლინგვისტური კომპეტენცია);
- ტექსტის (ზეპირი და წერილობითი) სტრუქტურისა და სტრუქტურული ელემენტების რაობისა და მათი ურთიერთკავშირის არსის გააზრება (დისკურსული კომპეტენცია);
- ქართულ სოციოკულტურულ გარემოში კომუნიკაციური ორიენტირება: აზრის გამოთქმა, დისკუსია, პრეზენტაცია (სოციოკულტურული კომპეტენცია);
- ქართულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში კონტექსტის შესაბამისი თვითდამკვიდრებისა და თვითგამოხატვისათვის აუცილებელი კომპეტენციების უზრუნველყოფა (სოციალური კომპეტენცია);
- ქართული ენის ცოდნის, ვერბალური კომუნიკაციების კომპეტენტურობის გაღრმავების უნარი (სტრატეგიული კომპეტენცია).

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის II მუხლის 335 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისათვის დადგენილი წესით ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე შესამდნად, რომელიც აუცილებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.

## სწავლის შედეგები/კომპეტენციები

- **ცოდნა და გაცნობიერება** – ქართულის, როგორც მეორე ენის, ბუნების, კონცეპტუალური თავისებურებების ცოდნა და გაცნობიერება:  
ქართული ენის სტრუქტურის (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), ლექსიკის თავისებურებების ცოდნა;
  - ქართული ლექსიკის გათავისება, გააზრება;
  - ქართული ზეპირსიტყვიერებისა და მწერლობის ძეგლთა გაცნობის საფუძველზე მათი ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობის გაცნობიერება;
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – ქართულის, როგორც უცხო ენის, B1+ დონის ცოდნის საფუძველზე მიზნობრივი სამეტყველო კომუნიკაციების დამყარების, ლაპარაკის, მოსმენის, წერა-კითხვის უნარი;
- ქართული კულტურის ელემენტარულ საკითხებზე მარტივი წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დამყარების უნარი.
  - პროფესიულ საქმიანობაში ქართული ზეპირმეტყველების სტილურ თავისებურებათა გამოყენება;
  - ზეპირი მეტყველების ასპექტების, სტრატეგიებისა და ტექნიკის გამოყენება.
  - წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის წერილობითი ფორმით გადმოცემა;
  - პროფესიულ სფეროში ნაშრომის დაგეგმვა და წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება.
  - მიღებული ცოდნის კრიტიკულ ანალიზს, სისტემატიზაციას, თეორიული და პრაქტიკული მასალის შეჯგერებას, დასკვნების გაკეთებასა და წერილობითი ფორმით პრეზენტაციას;
  - პროფესიულ სფეროში ნაშრომის დაგეგმვასა და წერილობითი ფორმით კვალიფიციურად შესრულებას.
  - მიღებული ცოდნის საფუძველზე პროფესიულ პრაქტიკაში დიალოგის წარმართვის ხელოვნება.
- **დასკვნის უნარი** – ქართული ენის სხვადასხვა საკითხების ერთმანეთთან დაკავშირებისა და ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
  - ქართული ენის ცოდნის გამოყენება ზეპირი და წერითი კომუნიკაციების მიზნებისათვის;
  - ქართულ ენაზე დიალოგის წარმართვისათვის ლაპარაკის უნარი;
  - ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მოსმენისა და გაგების უნარი;
  - ქართულენოვანი ტექსტის წაკითხვის, ინტერპრეტირების და რეპრეზენტაციის უნარი;
  - სხვადასხვა ტიპის ქართულენოვანი მცირე მოცულობის წერითი ფორმით შესრულების, კომენტირების უნარი;
  - სოციალურ და პროფესიულ სივრცეებში ადაპტაციის უნარი; მიზნობრივი მონაცემების გაცნობიერების ლინგვისტურ და ისტორიულ-კულტუროლოგიურ მონაცემების კონტექსტში;
  - ლინგვისტური მოვლენებისა და პროცესების შეფასებისა და ანალიზის, განზოგადების და ისტორიული თვალსაზრისით განხილვის უნარი.
- **წერითი კომუნიკაბელურობა** – ქართულ, როგორც უცხო, ენაზე მკაფიოდ, მართლწერის ელემენტარული წესების დაცვით, წერა; სასწავლო დანიშნულების ტექსტებში ორიენტაციის უნარი;
- **ზეპირი კომუნიკაბელურობა** – ქართულ, როგორც უცხო, ენაზე ზეპირი კომუნიკაციის დამყარების, მიზნობრივი ზეპირი ტექსტის შექმნის, ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი;
- **სწავლის უნარი** - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში სწავლის გაგრძელების საჭიროების განსაზღვრის უნარი.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისობა ევროსაბჭოს ენობრივი კომპეტენციების სტანდარტებთან

ევროსაბჭოს განათლებისა და ენის პოლიტიკის განყოფილების მიერ დადგენილი ენობრივი

კომპეტენციების სტანდარტებით განსაზღვრულია ენის ცოდნის 3 დონე:

A – "ელემენტარული" დონე;

B – ენის "დამოუკიდებლად" ცოდნის დონე;

C - ენის "თავისუფლად" ცოდნის დონე.

აღნიშნული 3 დონე დაყოფილია 6 ქვედონედ:

A1- ენის გასაღები, A2 - ენის საფუძველი; B1 - ზღვრული, B2 - ზღვრული განვითარებული; C1- პროფესიული, C 2 - სრულყოფილი.

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება ითვალისწინებს B1+ (ზღვრულ განვითარებულთან მიახლოებული) დონის უზრუნველყოფას.

### სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული

პრაქტიკა

საკურსო სამუშაო/პროექტი  კონსულტაცია  დამოუკიდებელი მუშაობა

**სწავლების ძირითადი ფორმები:**

- ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობები;

**ლექცია** შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული. ამასთან, ფაქტები, მაგალითები, სქემები, ნახაზები, ცდები და სხვა თვალსაჩინოებანი უნდა ემსახურებოდეს ლექციის იდეის ახსნას. ლექციამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერების დიალექტიკური პროცესის სწორი ანალიზი და უნდა აიგოს კონკრეტულ გარემოში სტუდენტთა თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობის, ძირითად მეცნიერულ პრობლემათა შეცნობასა და გაგებაზე ორიენტირებით.

ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ლექციის ძირითადი დანიშნულებიდან გამომდინარე, მისი წაკითხვის უფლება უნდა ენიჭებოდეს მხოლოდ გამოცდილ პედაგოგებს, ვინაიდან მათი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და პედაგოგიური ოსტატობა ლექციის მაღალ დონეზე ჩატარების გარანტიაა. ლექციის მეთოდური საკითხების დამუშავების დროს პედაგოგი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მასალის გადაცემის

თანმიმდევრობაზე, ლექციის სტილზე, აუდიტორიასთან კავშირზე. ლექცია უნდა მიმდინარეობდეს სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით, მეთოდურ საშუალებათა და თვალსაჩინოების ფართო გამოყენებით. თეორიული მასალა, რომელიც ლექციაზე გადაიცემა, კარგად აღიქმება სემინარებით, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით.

**სემინარის** დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის ან სემინარის წამყვანი პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. სემინარზე მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სემინარის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას. ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა. **პრაქტიკული** მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, ნახაზების, ესკიზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე და სხვ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა ემსახურება სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას. იგი აწვდის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, შესწავლილი საგნისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად, საკურსო სამუშაო/პროექტი შემოქმედებითი პროცესია. ყოველი ახალი ნაგებობა, მანქანა,

ინსტრუმენტი, ავტომატური მოწყობილობა და სხვა პროექტის მიხედვით იქმნება. დაპროექტების პროცესი თეორიისა და პრაქტიკის შეხამებაა. სწავლების პერიოდში სტუდენტი ასრულებს გრაფიკულ მოცემულობებსა და საკურსო პროექტებს, რომლებიც, ფაქტობრივად, სტუდენტის პირველი დამოუკიდებელი სამუშაოა, თუმცა პედაგოგის ხელმძღვანელობით ხორციელდება. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ცალკეული საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური თუ საწარმოო ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობს გამოცდილი პედაგოგი. კონსულტაციები სტუდენტს ხელს უნდა უწყობდეს პედაგოგის დახმარებით დაეუფლოს დამოუკიდებლად მუშაობის

ჩვევებს, სასწავლო ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის სწორად წარმართვას და დამოუკიდებელი მუშაობისას წამოჭრილ საკითხებში გარკვევას.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები** სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. გთავაზობთ სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს და მათ განმარტებებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

**დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - მეთოდი**, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

**ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**შემთხვევების შესწავლა (Case study)** – აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ.

”კეისების” ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. ”კეისი” წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად აწვდიან დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უწვითარდებათ ანალიტიკური

აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამოუმუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი

ეტაპისგან: პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;

დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული

იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;

გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**როლური და სიტუაციური თამაშები** – მიეკუთვნება თამაშების ტიპის მეთოდებს, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

**ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.



**დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

**წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

**პრაქტიკული მეთოდები** აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის შეფასების მეთოდები პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ECTS შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A)ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B)ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C)კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D)დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E)საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმების და სკალების აღწერა მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში)

შეფასების ფორმები:

- ყოველკვირეული შუალედური შეფასება 2 ქულა (მაქსიმალური 30 ქულა);
- 2 შუალედური გამოცდა 20 ქულა (მაქსიმალური 40 ქულა);
- დასკვნითი გამოცდა 30 ქულა.

შეფასების მეთოდები:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერიტი დავალება;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტის პრეზენტაცია.

### დასაქმების სფერო

შემდეგს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრირებას; მიზნობრივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვას.

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე სათანადო კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ სილაბუსებში. საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით და მასში განთავსებული წიგნადი და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდით, კომპიუტერული კლასით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით.

### თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 13

### პროგრამაში არსებული მოკლე ციკლის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი	
				I წელი	
				I	II
1	LGE0112 GP2-LS	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა - 1	არ გააჩნია	5	
2	LEGEL12 GP2-LP	ქართული ენის ლექსიკა	არ გააჩნია	5	

№	საგნის კოდი	საგანი	დამზების წინაპირობა	ECTS კრედიტი	
				I წელი	
				I	II
3	PRC0112 GP2-LS	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1	არ გააჩნია	5	
4	PGLAE12 GP2-LS	ქართული ენის ფონეტიკა (სომხ.)	არ გააჩნია	5	
	PGLAZ12 GP2-LS	ქართული ენის ფონეტიკა (აზერბ.)			
5	PRC0112 GP2-LS	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული (აუდირება) კურსი - 1	არ გააჩნია	5	
6	GRGEL12 GP2-LS	ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგია)	არ გააჩნია	5	
7	LGE0212 GP2-LS	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა - 2	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა - 1		5
8	PRC0212 GP2-LS	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 2	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1		5
9	PRGEL12 GP2-LS	ქართული ენის ფრაზეოლოგია	ქართული ენის ლექსიკა		5
10	PRC0212 GP2-LS	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული (აუდირება) კურსი - 2	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული (აუდირება) კურსი - 1		5
11	CUGES12 GP2-LS	ქართული მეტყველების კულტურა	ქართული ენის გრამატიკა		5
12	GLWSN1 2GP1-LS	ქართული ენის დიალოგის სინტაქსი	ქართული ენის გრამატიკა		5
<b>სემესტრში</b>				<b>30</b>	<b>30</b>
<b>სულ</b>				<b>60</b>	

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	LGE0112GP2-LS	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა - 1	×	×	×	×	×	×
2	LEGEL12GP2-LP	ქართული ენის ლექსიკა	×	×		×		
3	PRC0112GP2-LS	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1	×	×		×		×
4	PGLAE12GP2-LS	ქართული ენის ფონეტიკა (სომხ. )	×	×		×		
	PGLAZ12GP2-LS	ქართული ენის ფონეტიკა ( აზერბ.)						
5	PRC0112GP2-LS	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული (აუდირება) კურსი - 1	×	×	×	×		×
6	GRGEL12GP2-LS	ქართული ენის გრამატიკა(მორფოლოგია)	×	×		×	×	
7	LGE0212GP2-LS	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა - 2	×	×	×	×	×	×
8	PRC0212GP2-LS	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 2	×	×		×		
9	PRGEL12GP2-LS	ქართული ენის ფრაზეოლოგია	×	×	×	×		
10	PRC0212GP2-LS	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული (აუდირება) კურსი - 2	×	×	×	×		×
11	CUGES12GP2-LS	ქართული მეტყველების კულტურა	×	×		×	×	×
12	GLWSN12GP1-LS	ქართული ენის დიალოგის სინტაქსი	×	×		×		

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი\ საათი	ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური გამოცდა	დაკვებითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	LGE0112GP2-LS	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა - 1	5/135	30	30			2	1	72

	საგნის კოდი	საგანი	საათები	ECTS კრედიტი\ საათი	ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	საკლასო სამუშაო/პროექტი	შუალედური გამოცდა	დაკვებითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
2	LEGEL12GP 2-LP	ქართული ენის ლექსიკა		5/135	30	30			2	1	72
3	PRC0112GP2 -LS	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1		5/135	30	30			2	1	72
4	PGLAE12GP 2-LS	ქართული ენის ფონეტიკა (სომხ.)		5/135	30	30			2	1	72
	PGLAZ12GP 2-LS	ქართული ენის ფონეტიკა (აზერბ.)									
5	PRC0112GP2 -LS	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული (აუდირება) კურსი - 1		5/135	30	30			2	1	72
6	GRGEL12GP 2-LS	ქართული ენის გრამატიკა(მორფოლოგია)		5/135	30	30			2	1	72
7	LGE0212GP2 -LS	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა - 2		5/135	30	30			2	1	72
8	PRC0212GP2 -LS	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 2		5/135	30	30			2	1	72
9	PRGEL12GP 2-LS	ქართული ენის ფრაზეოლოგია		5/135	30	30			2	1	72
10	PRC0212GP2 -LS	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული (აუდირება) კურსი - 2		5/135	30	30			2	1	72
11	CUGES12GP 2-LS	ქართული მეტყველების კულტურა		5/135	30	30			2	1	72
12	GLWSN12G P1-LS	ქართული ენის დიალოგის სინტაქსი		5/135	30	30			2	1	72

პროგრამის ხელმძღვანელი

თემურ ჯაგოდნიშვილი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის უფროსი

ეკატერინე შაკიაშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ივანე ჯაგოდნიშვილი

**მიღებულია**

ბიზნეს-ინჟინერინგის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
4 ივლისი 2012 წ.

**მოდულიზებულია**

საინჟინრო ეკონომიკის,  
მედიატექნოლოგიებისა  
და სოციალურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
10.02.2017  
ოქმი №4  
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ივანე ჯაგოდნიშვილი

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური